

გვექნება თუ არა ნელს აბიტურიენტის სასარგებლოდ შეზღუდვები საგამოცდო სისტემაში?

როდის და როგორ ჩატარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები 2020? ეს ჯერ არავინ იცის, რადგან გადაწყვეტილება მიღებული არ არის, ხელისუფლებისგან ჯერ მხოლოდ ვარაუდებს ვისმენთ, თუმცა, ეს ვარაუდებიც მოკვლევებზეა, რადგან უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ამ თემაზე არც ერთ ოფიციალურ უწყებას სიტყვაც არ დაუძრავს. მოკვლევები ინფორმაციით კი, მთავრობა აცხადებს, რომ გამოცდების ალტერნატიული წესით ჩატარების ვარიანტებს განიხილავს, განათლების მინისტრის მოადგილე აბოშაძე, რომ ბარკევილი შეთავაზებული აქვთ, მაგრამ გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მიიღებენ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები; ერთიანი ეროვნული გამოცდების ეროვნული ცენტრი კი, ყველანაირი განმარტებებისგან თავს იკავებს. აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადების დასრულებამდე ერთ კვირაზე ცოტა მეტი დრო რჩება, ივლისამდე – გამოცდების ჩატარების ტრადიციულ დრომდე კი, დაახლოებით, ორი თვე. ამასობაში, მთავრობა საგანგებო მდგომარეობას, ამოქმედებულ ერთი თვის თავზე, კიდევ ერთი თვით ახანგრძლივებს, რაც, ავტომატურად, გულისხმობს სკოლებში სასწავლო პროცესის განახლების ისევე ერთი თვით გადაწვას, თვითიზოლაციაში მყოფი აბიტურიენტებისთვის კი, სურათი ისევე უცვლელია – წინ გუნდოვანი ზაფხული და გაურკვეველი ერთიანი ეროვნული გამოცდები ელოდებათ...



ველარ შიქოშვილი, აირიღებენ თუ არა თავიდან აბიტურიენტთა ნაკადის შემცირებას – ამ თემაზე გვესაუბრება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი გახელაქა

რა დათმობაზე შეიძლება ნავიდეო ხელისუფლება და რა თეორიული შესაძლებლობები ჩნდება გადაწყვეტილების მიღებაში პირებისთვის, რომ აბიტურიენტებისა და უმაღლესი განათლების ინტერესთა თანხ-

✓ ბატონო გიორგი, რა ინფორმაცია გაქვთ ერთიანი ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით – რა ფორმით და როდის ჩატარდება გამოცდები?

➔ ინფორმირებულობის თვალსაზრისით, გეტყვი, რომ არანაირი განცხადება ერთიანი ეროვნული გამოცდების გეგმის შესახებ არ ჩანს, არც დაწერილი მინახავს და არც სიტყვიერად მომისმენია, გარდა იმისა, რომ მიმდინარეობს აბიტურიენტთა რეგისტრაცია. რა თქმა უნდა, მთავრობა, ჯერჯერობით, გაურკვევლობაშია და, შესაბამისად, ვერც გადაწყვეტილებას იღებს, რადგან არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება საგანგებო მდგომარეობა – სწორედ ამან დაამოკიდებული სრული ფორმით განხორციელდება თუ არა გამოცდები. მეორე მხრივ, მოსახლეობაში, საგანგებო მდგომარეობის გამო, ბევრი ფაქტორით გამოწვეული უკმაყოფილებაა, რაც მანამდე დაგროვილ უკმაყოფილებებს კიდევ უფრო ამწვავებს. ბუნებრივია, მთავრობას პრობლემების კიდევ უფრო გაღრმავება არ სურს, რადგან საარჩევნო წელია. ამიტომ, გასაგებია, რომ ეძებენ ოპტიმალურ გამოსავალს და ცდილობენ, ეს გამოსავალი, ერთი მხრივ, მოსახლეობისთვის დამაკმაყოფილებელი, ნაკლებ გამაღიზიანებელი იყოს და, მეორე მხრივ, რაღაც შედეგის მაჩვენებელი, რომელიც ინსტიტუციების მუშაობისა და არჩამომლის ინდიკატორი იქნება.

✓ რაალურად რა შეიძლება მოხდეს?

➔ რამდენიმე ვერსია შეიძლება განვიხილოთ. თუმცა, ჩვენი საუბარი, რასაკვირველია, მხოლოდ ვარაუდებია, თუ რა შეიძლება მოხდეს, მაგრამ მაინც ყველა თეორიული ვარიანტი უნდა დავასახელოთ, რომელიც, ასევე სავარაუდოდ, ბევრ შეიძლება არ მოეწონოს.

პირველი ვარიანტი – ნელს უმაღლესებმა შეწყვიტონ მიღება, ერთიანი ეროვნული გამოცდების საყოველთაო განხორციელების შეუძლებლობის გამო. რა თქმა უნდა, ამანზე, ალბათ, არ წავლენ, თუმცა, თეორიულად ეს დასაშვებია. ერთიანი ეროვნული გამოცდების არჩატარებას ბევრი მხრიდან ექნება წინააღმდეგობა.

მეორე ვარიანტი – თუ ისევ ერთიანი ეროვნული გამოცდების არსებულ სისტემაში დავრჩებით, მაშინ უნდა შევცადოთ, მისაღები გამოცდები დისტანციურ, კომპიუტერზე დაფუძნებულ ტესტებზე გადავწვინოთ და ისე ჩატარდეს, რომ ამ გამოცდების ერთიანობის – ცენტრალიზაციის პრინციპი არ დაირღვეს. მაგრამ, სერიოზული რესურსების დახარჯვა მოუწევთ იმით, რომ საჭირო გახდება ყველაფრის ტექნიკურად გამართვა, შესაბამისად, ამ საგამოცდო სისტემის სათანადოდ ორგანიზება.

მესამე ვარიანტი – აბიტურიენტებს შესთავაზონ გამოცდის ჩვეული ფორმით ჩატარება იმ საგამოცდო ცენტრებში, სადაც მაქსიმალურად იქნება დაცული სოციალური დისტანციის გამკაცრებული ზომები (მეთვალყურეობის ქვეშ), რაც საგამოცდო პროცესის ხანგრძლივობას გაზრდის. ასევე, აბიტურიენტებს შესთავაზონ გამარტივებული ტესტები (პროგრამის შემოკლება). ვფიქრობ, ეს ვარიანტი მოეწონება ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში დიდ გაღიზიანებას არ გამოიწვევს, მაგრამ გაჩნდება კითხვა: როგორ მივიღწეოთ დანიშნულების ადგილას, საგამოცდო ცენტრამდე (იმ შემთხვევაში, თუკი დაუშვებთ, რომ საგანგებო მდგომარეობა ივლის-ივლისიც გაგრძელდება)? ჩამოთვლილი ვარიანტებიც ასეთი სცენარისთვის იქნება საჭირო.

რა თქმა უნდა, არის სხვა ვარიანტიც, მაგრამ იქნება გასული არსებული ერთიანი გამოცდების ფორმატიდან, რაც ჯერ კიდევ შარშან, იანვარში, იყო გამოცხადებული, საგა-

მოცდო სისტემის რეფორმის ფარგლებში, რომელიც 2021 წლისთვის უნდა განხორციელდებოდა. რეფორმის შედეგად მივიღებდით სისტემას, სადაც უმაღლესები, მათთვის მოსახერხებელ დროს, სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ, თვითონ ჩატარებდნენ გამოცდებს. მთავრობას, თუ გონიერება ეყოფა, ახლა ამ სისტემაზე გადასვლა იქნება უპრიანი. ცხადია, ეს ერთნაირად კარგად აღქმული არ იქნება ყველა დაინტერესებულთა მხრიდან – არც უმაღლესების და არც აბიტურიენტების. გარდა ამისა, 15-წლიანი ჩვეული საგამოცდო სისტემიდან ასეთი სწრაფი და უჩვეულო გადასვლა სხვა სისტემაზე, ვფიქრობ, ბევრ ადამიანში გამოიწვევს დაბნეულობას. ყოველ შემთხვევაში, რა ვარიანტიც უნდა მოქმედოს ან აირჩიოს მთავრობამ, მეექვსეა, რომ დეტალური რეგისტრაციის გადამგება ნაბიჯი. ყველანაირად შეეცდებიან, გამოცდების ჩატარების პირობები მაქსიმალურად გაამარტივონ, საფუძვლად ბევრ არგუმენტსაც მოიტანენ, მათ შორის, ფაქტობრივად შეჩერებული/შეწყვეტილი თუ არასრულფასოვნად გაგრძელებული სასწავლო წლისა და აბიტურიენტების საუკეთესო ინტერესების დაცვის მოშველიებით. აქაც, რა თქმა უნდა, ახალგაზრდების გულის მოგებას შეეცდებიან. ეს, დაახლოებით, იმ ვითარებას ნაგავს, როცა 90-91 წელს ყველა აბიტურიენტს ჩააბარებინეს – გულის მოგების ამბავი იყო, ელექტორალური დამოკიდებულება, რომელიც გარკვეული გადაწყვეტილებისკენ უბიძგებს ადამიანებს. ეს ნაბიჯი ამ ბენეფიციარების საუკეთესო ინტერესების დაცვით იქნება „გამარტებული“. უკეთეს შემთხვევაში, ამას გულუხვობა დავარქვავთ, რომელიც მერე გამყარებულია დაფინანსების მექანიზმებით. ყოველ შემთხვევაში, რა მექანიზმსაც მოქმედებინა, აუცილებლად ელექტორალური მიდგომებით იქნება ნაკარნახევი.

✓ ჩამოთვლილი სავარაუდო ვარიანტებიდან თქვენ უფრო დეტალურად რომელია უფრო რეალური?

➔ კარგი იქნებოდა, ერთი თვის წინ რომ გამოეცხადებინათ ასეთი რამ: ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე დაფუძნებულ გამოცდას ვატარებთ მხოლოდ ზოგად უნარებში, დანარჩენ გამოცდებს კი, უმაღლესები თვითონ ჩატარებენ. გრანტები მიზმული იქნებოდა უნარებში მიღებულ ქულებზე, ანუ ის ვარიანტი დაეშვათ, რის დანერგვასაც უკვე აპირებდნენ 2021 წლისთვის, უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში.

✓ შექმნილი მდგომარეობის გამო, აბიტურიენტები ველარ ემზადებიან რეპეტიტორებთან. საპარაუდოდ, ამის გამო, შესაძლოა, ნელს ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა შემცირდეს, რაც ავტომატურად აისახება უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე. როგორ ფიქრობთ, ამ კუთხით, სოფ არ დაზარალდებიან ნელს უმაღლესი განათლების დაფინანსებლები?

➔ აბიტურიენტთა ნაკადის შემცირება, რასაკვირველია, უკმაყოფილებას გამოიწვევს როგორც უმაღლესების, ისე აბიტურიენტების მხრიდან იმით, რომ უმაღლესი განათლების სისტემა საკარტელელოშია და მოტივაცია, ჯანსაღი თუ არაჯანსაღი, არ შეჩერებულა, არსად გამქრალა. თუმცა, სავარაუდოდ, ეს საშიშროება არ ემუქრება არც უმაღლესებს და არც აბიტურიენტებს. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ელექტორალური მიდგომა არ გულისხმობს მარტო აბიტურიენტების ინტერესების გათვალისწინებას, არამედ უმაღლესების და საგანმანათლებლო სისტემის მესვეურთა ინტერესების გათვალისწინებასაც მოიაზრებს. ამიტომ, ეს „შუალედური გამოსავალი“, ერთი მხრივ, აბიტურიენტებს გაუმარტივებს

ჩატარებას, შინაარსობრივი თუ ტექნიკური თვალსაზრისით, მეორე მხრივ, არ შეამცირებს სტუდენტთა ნაკადს, ანუ კონკურსებს უმაღლესებში. ამიტომ, ასეთი შუალედური გამოსავალი მათთვის ყველაზე ხელსაყრელი, ოპტიმალური ვარიანტი იქნება.

თავისთავად, ბევრად არ შემცირდება ნაკადი, თუკი სატესტო დავალებების გამარტივება მოხდება, ამ შემთხვევაში, არც უმაღლესები დაზარალდებიან. ამიტომაც, აბიტურიენტის სასარგებლოდ დარბილებული საგამოცდო სისტემა, რომელიც გამართლებული იქნება კრიზისულ სიტუაციაში გამოწვეული განათლების უფლების შეზღუდვით, შეიძლება სახიროდაც კი ნაადრევ უმაღლეს სასწავლებლებს, რადგან ასეთ პირობებში, შეიძლება, პირიქით, მეტი აბიტურიენტიც კი ჩაირიცხოს.

ცხადია, უმაღლესების „გაბრაზება“, სადაც სტუდენტების – ახალგაზრდების ყველაზე მეტი კონცენტრაცია ხდება, საარჩევნო წელს, ხელისუფლებას არ ენდობება.

✓ მთავრობა საოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებას მაინც აპირებდა და აბოშაძე, რომ მუშაობს რამდენიმე ვარიანტზე...

➔ ამ ვარიანტებში განიხილება ორი უმთავრესი რამ: ერთი, რამდენ ხანს გაუგრძელდება საგანგებო მდგომარეობა, რადგან ეს მხოლოდ განათლების სისტემას არ ეხება, ეკონომიკურ აქტივობასაც ეხება და ა.შ. მათ კარგად იციან, რომ ადამიანების მესხიერება ხანმოკლეა და თუკი ზაფხულამდე ეს ამბავი გადაივლის და მოქალაქეები ცხოვრების ნორმალურებას შეძლებენ, არჩევნებისთვის აღარავის ემასხვრება პანდემიისთან გამკლავების მათი ღვაწლი. უფრო მეტიც, შეიძლება იმაზე ალაპარაკდნენ, რაც იმ მომენტში შეაზუბებთ და ააღვლებთ. აქაც, მთავრობას არ უნდა, რომ ცუდად გამოჩნდეს, ამიტომ ახლა ხელისუფლება ორ კითხვაზე ეძებს პასუხს: როდის დასრულდება საგანგებო მდგომარეობა და როგორ გამოვლენ ამ სიტუაციიდან ისე, რომ წინასაარჩევნოდ ადამიანები არ გააბრაზონ – პირიქით, მათი გულები უნდა მოიგონ. აი, ამ კითხვებზე ეძებენ პასუხებს, როცა ამბობენ, რომ ვარიანტებზე მუშაობენ.

✓ თვალსაზრისით, რომ ზოგადად განათლებული სისტემისთვის შედარებით, უმაღლესი განათლება ძვირფასი უფრო მზად დასწავლა გამოწვევას. რა ფაქტორებმა განაპირობა ასეთი სხვაობა და რა ძირითადი ხარვეზები გამოიკვეთა?

➔ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა – განათლების ამ ნაწილმა უფრო მოქნილად და კომპეტენტურად უპასუხა გამოწვევას და ეს კრიზისი უნივერსიტეტებისთვის (ჩავთვალთ ასე – იძულებით გადასვლა დისტანციურ სწავლებაზე) ერთგვარი კატალიზატორიც კი აღმოჩნდა განათლების პროგრესული ფორმების დანერგვისთვის – დისტანციური განათლების დანერგვა და შემდეგ აღიარება! მოგეხსენებათ, აღიარების პროცესი შეფერხებული იყო და ამ ვითარებამ ეს პროცესი დააჩქარა. ისინიც კი, ვინც არასერიოზულად უყურებდნენ დისტანციური განათლების შესაძლებლობებს (უმაღლესებიც და აკადემიური წრეებიც), რწმუნდებიან, რომ ეს სავეებით შესაძლებელია და, ხშირ შემთხვევაში, ხარისხიც უკეთესი აქვს. უმაღლესების მხრიდან გამოწვევაზე ადეკვატურ რეაქციასა და ხარისხიან სწავლებას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა: ერთი ის, რომ ჩვენი უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით, იყვნენ და

ინტერვიუ გიორგი განსაჯანაძესთან

არიან უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ზოგადსაგანმანათლებლო დანახვების უზრუნველყოფის მიზნით...

ვანი და ძალიან მძიმე ტვირთი აწევს მხრებზე, რომელიც პატარა-პატარა ნავეებით კი არა, ერთი დიდი ხომალდით უნდა გადაიტანოს...

უკეთეს უპასუხეს მეტი ავტონომიურობის, მეტი მზაობისა და გამართული ინფრასტრუქტურის გამო და ზუსტად იმავე ფაქტორების ნაკლები ხარისხით ქონის პირობებში, სკოლებმა - ნაკლებად.

რა პოზიტიური შედეგები ეძინა ამ ყველაფერს როგორც უმაღლესმა, ისე საშუალო და საბაზო სასწავლებლებს?

როგორც ყოველთვის, კრიზისული სიტუაციები განვითარების ახალ გზებს გამოაჩენს ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი სკოლებისთვის ისეთივე კატალიზატორი აღმოჩნდება...

ესაუბრა ლალი ჯალაღანიძე

ინტერვიუ ირინა სამსონიასთან

დაუბეგმავმა სვლილებამ ბევრი რამ გადააფასა



განათლების სისტემაში შექმნილ ახალ რეალობაზე და ამ რეალობის თანახმად მოვლენებზე გვესაუბრება ირინა სამსონია, განათლების სპეციალისტი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი...

მოულოდნელი რეალობა

ასეა, ძალიან საინტერესო მოვლენების მოწმენი აღმოვჩნდი. სრულიად მოულოდნელად, ფაქტობრივად თვალის ერთ დახამხამებაში, მთელი მსოფლიოს და, მათ შორის, ჩვენი განათლების სისტემა აღმოჩნდა ახალ რეალობაში...

ცხადია, ასეთი სწრაფი ცვლილებები არავისთვის იყო ადვილი, არც მოზარდისთვის და არც მოზარდისთვის. მასწავლებლები, მოულოდნელად, სრულიად ახალ რეალობას შეეჩვენნენ. არც ის არის გასაკვირი, რომ დისტანციური სწავლებისთვის მათი მათი დიდი ნაწილი, გარკვეულწილად, სრულიად მოუზადებელი აღმოჩნდა...

ისევ ფრონტის წინა ხაზზე

ერთი, რაც ნათლად გამოჩნდა, არის ჩვენი მასწავლებლების სოციალური და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. აქვე გულახდილად ვიტყვი იმასაც, რომ მასწავლებლების სამოქალაქო თვითშეგნება მინც და მინც დიდი სიახლე არ ყოფილა ჩემთვის...

გმოგალი - სასკოლო ცხოვრების თანამონაწილე

ძალიან საინტერესოა ასევე მშობელთა დამოკიდებულების ცვლილებაც სასკოლო ცხოვრების მიმართ. ცხადია, ეს

საკვლევი თემაა, მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ამ, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, იძულებითი თანამონაწილეობის წყალობით, ამაღლდა მშობლის ცნობიერება, როგორც სასკოლო ცხოვრების თანამონაწილისა...

დისტანციური სწავლება

რაც შეეხება უშუალოდ დისტანციურ სასწავლო პროცესს, აქ, ბუნებრივია, თავი იჩინა პრობლემებმაც, რაც, ვფიქრობ, გარდაუვალიც იყო. არაფერს ახალს არ ვიტყვი, თუ დავასახელებ ყველასთვის კარგად ნაცნობ პრობლემას - ციფრულ მოწყობილობებთან და ინტერნეტთან ხელმისაწვდომობას...

კარგია, რომ ამ პრობლემის გათვალისწინებით სახელმწიფომ მისწავლელს შესთავაზა ალტერნატიული ფორმატი, ტელესკოლის პროექტის სახით. თუმცა, ჩვენ ჯერ ზუსტად არ ვიცით, როგორ ხდება ტელეგაკვეთილების გამოყენება სკოლების მიერ...

კიდევ ერთი საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტი

სახელმწიფოსგან, დისტანციური სწავლების განხორციელებისას, სკოლებს არ მიუღიათ კონკრეტული დირექტივა, მაგალითად, თუ რომელი ფორმატი უნდა აერჩიათ დისტანციური სწავლებისთვის...

ნათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების პირობითი რეალიზაცია. ერთი მხრივ, ეს თავისთავად დადებითი მოვლენაა, რადგან ზრდის სკოლის ავტონომიურობის ხარისხს...

ტელესკოლა

რაც შეეხება ტელესკოლას, ამ ვირუსმა ნამდვილად გაგვიკეთა საჩუქარი, ძალიან კარგი საგანმანათლებლო არხის სახით, ქართულ ტელევიზორებში. მგონი, ყველანი ვთანხმდებით, რომ ეს არის პროექტი, რომელიც არ უნდა დამთავრდეს პანდემიისთან ერთად...

შეძლებისდაგვარად ყურადღებით ვადავებებ თვალს ტელესკოლის გაკვეთილებს. ამ პროექტმა ნამდვილად გააცნო საზოგადოებას ბევრი მართლაც საუკეთესო მასწავლებელი, და, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მაღლა ასწია კიდევ პროფესიული თამაშა. ეს კი აუცილებლად იქონიებს თავის გავლენას მთლიანად სისტემაზე...

ამასთანავე, ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი მასწავლებლისთვის კიდევ ერთხელ გამოიკვეთა თითქოს ძალიან ბანალური, ყველასათვის კარგად ნაცნობი ჭეშმარიტება. ეს არის სკოლის, როგორც უპირველესად აკადემიური სივრცის მნიშვნელობა. კიდევ ის, რომ მასწავლებელი უპირველესად აკადემიური ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი...

საინტერესო ცვლილებების მოლოდინი

ეს ახალი გამოცდილება ყველასთვის, სანყის ეტაპზე ვართ. ამიტომ გლობალური დასკვნების გაკეთება ნაადრევია. ჩვენ მხოლოდ ვაკვირდებით. დანარჩენს კვლევების შედეგები გვეტყვის. კვლევები გვეტყვის იმასაც, თუ როგორ უნდა გავარძიდოთ სასკოლო ცხოვრება პანდემიის შემდეგ...

მომზადდა ანა ფირსხლაიშვილმა

ნარკოსახვითი გარემო გარეგნობის გარეშე

როგორს კი ახალი გამოწვევები ჩნდება, სტაბილური სასურველი მდგომარეობას ქრება

2007 წლის 18 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა. ამის შემდეგ, ტრადიციულად, 2 აპრილს, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, ფართო მასშტაბური კამპანიებით და სხვადასხვა სახის ღონისძიებებით, ადამიანები ცდილობენ გადალახონ ბარიერები, რომლებიც, ისევე და ისევე, საზოგადოების მხრიდან და საზოგადოების წინააღმდეგობით სპექტრის მქონე ადამიანების მიმართ გაჩნდა. არსებული რეალობის პირობებში განსხვავებულად გვიწევს შევხვდეთ ამ დღეს, რადგან კორონავირუსით შექმნილმა ვითარებამ, ისე როგორც ყველაფერის, ამ დღის წესრიგიც შეცვალა – შეცვალა ამ ადამიანების ყოველდღიურობაც, რომლებიც სიახლეების მიღებისადმი განსაკუთრებულად სენსიტიური არიან. როგორია მათი ყოველდღიურობა თვითიზოლაციის პირობებში და რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ მოგზავნი – ამ თემაზე საუბრობს აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვის მშობელი, „MAC Georgia“ ოჯახისა და თემის „სერვისების კოორდინატორი დინა ჯანაშვილი“.

✓ კორონავირუსმა სამყარო სრულიად ახალ რეალობაში გადაიყვანა – ახლა სრულიად სხვა ტემპითა და პირობით-ტემპით ვცხოვრობთ, სხვა გამოწვევები და პრობლემები გვხვდება... რა შეცვალა თქვენი, როგორც აუტიზმის სპექტრის მქონე ადამიანისთვის ამ გამოწვევები და საჭიროებები გამოიკვეთა?

➔ ბუნებრივია COVID 19-მა ყველა ადამიანის გეგმები და დღის წესრიგი შეცვალა. თითქოსდა ყველა ერთნაირ პირობებში ვართ, ანუ იმ გაგებით, რომ წესები საერთოა, მაგრამ, ამავდროულად, განსხვავებულია ის პირობები და გამოწვევები, რასაც აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები და მათი მშობლები ნაწილობრივად (თუმცა, რიგი გამოწვევები შეიძლება იდენტური იყოს ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მშობლებისთვის).

ჩემი შვილი – გაბრიელი 7 წლისაა და წელს შევიდა პირველ კლასში. სკოლა ძალიან მოსწონს. როდესაც სკოლაში შემყავდა, ვფიქრობდი და ვოცნებობდი, ნეტავ, 5 წუთი შეძლოს გაკვეთილზე გაჩერება და მეტი არაფერი მინდა-თქო. პირველივე დღიდან სასწაული მოხდა და ვიდრე სკოლაში სწავლა შეჩერდებოდა, სრულად ვაკვეთილს ესწრებოდა, ამაში სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების დიდი წვლილია. სკოლის შემდეგ სახლ-

ში ისვენებდა, მერე მიდიოდა თერაპიებზე – ABA თერაპია, მეტყველების თერაპია, რეაბილიტაცია, სეზონის მიხედვით ცურვა და ა.შ. ყოველდღიურად, საშუალოდ, 2 საათს თერაპიებზე ატარებდა. ეს შესავალი იმიტომ გავაკეთე, რომ უკეთ წარმოიდგინოთ, როგორი იყო გაბრიელის დღის წესრიგი. ჯამში, საშუალოდ, სკოლას და თერაპიას, დღეში, 4-5 საათი ეთმობოდა. როდესაც ეს ორივე სერვისი შეწყდა, მთლიანად შეიცვალა ბავშვის დღის წესრიგი და რუტინა. „სიახლეებმა“ (ზოგადად, სიახლეები და ცვლილებები აუტიზტურ სპექტრის მქონე ბავშვებს არ მოსწონთ) გაამწვავა ბავშვის ქცევები სახლში. ბუნებრივია, გამიჭირდა გაბრიელის დღის წესრიგის ისე შედგენა და მისი ისე დატვირთვა, როგორც ადრე იყო. თბილისში, ბინის პირობებში, ამ პრობლემებთან გამკლავება კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა. მომიწია რეგიონში გადასვლა, საკუთარ სახლში, სადაც უფრო შევძლებდი ბავშვისთვის მრავალფეროვანი გამეხადება მისი დღის წესრიგი და შესაბამისი პირობებიც შემექმნა მისი ფიზიკური დატვირთვისთვისაც. ეს პერიოდი ჩემთვის ერთგვარი „დღეა ვუ“ არის.

არადა, 2015 წელს რეგიონიდან თბილისში საცხოვრებლად სწორედ იმის გამო გადავივი, რომ მაშინ იქ არანაირი სერვისი არ იყო ჩემი შვილისთვის ხელმისაწვდომი. შინაპრატიმრობაში ვგრძნობდი თავს. დღეს შექმნილი მდგომარეობის გამო, თბილისიდან რეგიონში დავბრუნდი და ისევ სერვისების მიღება ვართ და ისევ შინა პრატიმრობაში (თუმცა, ახლა უკვე ყველანი ასე ვართ!). ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ის ორი ნაბიჯი, რომელიც წლების განმავლობაში წინ გადავდგით, სულ რაღაც ერთ თვეში, წყალში ჩაიყარა – ახლა უკუნაბიჯებით მივდივართ.

✓ 2 აპრილის აღსანიშნავად, სოციალურ ქსელში, თქვენ დააანონსეთ მშობლებთან ონლაინ საუბარი – #დარჩისახლში და ლაივში ვისაუბროთ იმაზე, რაც გვაწუხებს და გავაზიაროთ გამოცდილება! – ასე მოუწოდებთ მშობლებს. ჩვენც გავაზიარებთ თქვენი გამოცდილება და მოსაზრებები – როგორ გაუმკლავდნენ COVID 19-ის შედეგად დამდგარ გამოწვევებს აუტიზტური სპექტრის მქონე ბავშვებთან?

➔ ვინაიდან ამ შეკითხვაზე ლაივის დროს მომიწევს საუბარი, მინდა რაღაც საკითხები, ამ ეტაპზე, პასუხგაცემელი დაგვტოვო, თუმცა, ყველაზე მთავარ მესიჯს გავაზიარებთ, რაზედაც ვისაუბრებ ლაივის დროს:

მას შემდეგ, რაც ჩვენ – მშობლები, დავრჩით სახლში მარტონი ჩვენს შვილებთან ერთად, ყველანი ვცდილობთ, შევითავსოთ თერაპევტების ფუნქცია. მაგალითად, არ გვინდა ბავშვი ჩამორჩეს და დაივიწყოს ის უნარები, რომლის შექმნა-გამომუშავებაც წლებია ვმუშაობთ. ყველაზე რთული გამოწვევა კი სწორედ ესაა – იყო მშობელი და იყო შენი შვილის თერაპევტი. სახლში ყოფნის პირველი ორი კვირის განმავლობაში, სულ მანუხებდა ის, რომ რაღაცას ისე არ ვაკეთებ, როგორც ამას თერაპევტი ვაკეთებდა; ვერ გავდივარ იმ შედეგებზე, რაც მინდა და ა.შ. ძალიან მანუხებდა განცდა იმისა, რომ ვერ ვეხმარებოდი ჩემს შვილს ისე, როგორც ამას იზამდა პროფესიონალი. საბოლოოდ კი მივხვდი, რომ ამ პერიოდში საკმარისია, იყო მხოლოდ მშობელი შენი შვილისთვის და არ გქონდეს ამბიცია, იყო თერაპევტი. მიზნად ავიღე, ვკონცენტრირდებ გაბრიელისთვის ახალი ფუნქციური უნარების განვითარებაზე და ეს ბუნებრივად და ორგანულად გავაკეთე. სახლში რასაც კი ვაკეთებ, ყველაფერში ვრთავ – დალაგება, საჭმლის კეთება, სამაგიდო თამაში და ვხედავ, რომ ამ პროცესს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს (ვინაიდან ინტერესით ერ-



თვება ბავშვი), ვიდრე დამდგარ შედეგს – ბუნებრივია, გაბრიელის ჩართულობით არც სახლი ლაგდება და არც საჭმელი კეთდება, მაგრამ მისი ჩართულობა კი, ნამდვილად იზრდება ამით, თუნდაც, ასეთ პროცესებში. ძალიან კარგი პერიოდი მშობლისთვის, რომ უკეთ გაიგოს და შეისწავლოს შვილის ინტერესები. რეალურად, ხშირად არ ვიცით რა აინტერესებთ ჩვენს შვილებს, რაც, უმეტესწილად, არის იმის მიზეზი, რატომაც გვიჭირს მათთან კომუნიკაცია.

✓ ზოგადად, როგორია გარემო, რომელშიც უფრო აირიან უნარები ჩვენს შინაგან ცხოვრებაში?

➔ როგორც კარგ პერიოდს დავთმობ ამ კითხვის დასმა, ვინაიდან რა პასუხიც მაქვს ამ კითხვაზე, დარწმუნებული ვარ, რომ ყველას გულში გამოიწვევს ემპათიის გრძნობას.

თუ დღეს მოწოდებები #დარჩისახლში და ამ მოწოდებების გათვალისწინება – იძულებითი იზოლაცია – ხაზს უსვამს ადამიანის მაღალ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, სწორედ ასეთ იძულებით იზოლაციაში ჯერ კიდევ ცხოვრობენ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფსიქიატრიულ ჯერ კიდევ 800-მდე ადამიანი ცხოვრობს, მარტო იმიტომ, რომ მათ სახელმწიფო, ამ ეტაპზე, ვერ სთავაზობს სხვა ალტერნატიულ სერვისს. ძალიან ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი და ზრდასრული დარჩენილია სოციალური სერვისების მიღმა, ვინაიდან ეს სერვისი მის საჭიროებებს არ ან ვერ პასუხობს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დარჩენილი არიან განათლების და დასაქმების სექტორის მიღმა, შესაბამისად, აქეთ ძალიან მწირი ან პრაქტიკულად არანაირი კონტაქტი გარე სამყაროსთან. აქედან გამომდინარე, გარემო, სადაც ჯერ კიდევ ძალიან ბევრ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს და მათ ოჯახებს უწევთ ცხოვრება, ბევრად არ განსხვავდება იმ პირობებისგან, რა პირობებშიც ახლა ყველას გვინწევს ცხოვრება.

✓ როგორია ჩვენი საზოგადოების ცნობადობა – სტერეოტიპული თუ ჯანსაღი?

➔ ბუნებრივია, საზოგადოების ცნობადობა იზრდება, ამას სხვადასხვა კვლევაც ადასტურებს, ასევე, თავად თემიც ვგრძნობთ ამას. ცნობადობის ამაღლებასა და დამოკიდებულებებზე კი დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ ცნობიერების ამაღლების კამპანიები, არამედ სახელმწიფოს მიერ მიღებული სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ერთგვარად არეგულირებს რიგ საკითხებს. მაგალითად, სამართლებრივი დოკუმენტების თანახმად, საჯარო სექტორში დასაქმებული პირები უკვე ვალდებული არიან, ცხატერეოტიპული თუ პიროვნული დამოკიდებულებების გვერდის ავლით, იმოქმედონ იმ საკითხების დასარეგულირებლად,

რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესებს ეხება. ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახები ვცდილობთ, უკეთესობისკენ შევცვალოთ ის მიკროგარემო, სადაც ჩვენ ვტრიალებთ. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ადრეული ასაკიდან ყველა ბავშვმა, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა და უნარებისა, იაროს ბაღში. ადრეული ასაკიდანვე უნდა მოხდეს ჩვენი შვილების ინტეგრირება საზოგადოებაში – ეს არის ცნობიერების ამაღლების საუკეთესო კამპანია. რამდენი ვიდეო-სარეკლამო რგოლიც არ უნდა გავიდეს სოციალურ ქსელსა თუ ტელევიზიით, რეალურ ცხოვრებაში, ჩვენ გვერდით მცხოვრები მეზობელი, ახლობელი, ნათესავი, მეგობარი მხოლოდ იმ დროს მიიღებს ჩვენს შვილს ისეთს, როგორც ის არის, როდესაც ყოველდღე დაინახავს მას უზნის მალაზიაში თუ „პირფარე“, ბაღში, სკოლაში, უნივერსიტეტში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ა.შ. რაც უფრო მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანი გავა დღეს საზოგადოებაში (ბუნებრივია, როდესაც COVID 19 ჩაივლის და მკაცრი რეგულაციები მოიხსნება), მით უფრო მალე გახდება საზოგადოების მიმღებლობა მაღალი და ჯანსაღი.

✓ როგორია ის სასურველი რეალობა, რომელშიც ისურვებდით, რომ თქვენმა შვილმა იცხოვროს.

➔ სიმართლე გითხრათ, კარგა ხანია არ მიფიქრია იმაზე, როგორია ბოლოს და ბოლოს ის მიზანი და სასურველი რეალობა, რომელიც მინდა, რომ იცხოვროს გაბრიელმა – აი, როდის დადგება ის მომენტი, როდესაც ვიტყვი: „დასრულდა, ყველაფერი სწორედ ისეა, როგორც მე მინდოდა ჩემი შვილისთვის“. ნელ-ნელა ვაცნობიერებ, რომ ასეთი რეალობა არ არსებობს, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ასეთი სასურველი მდგომარეობის მიღწევა შეუძლებელია და ამიტომაც, თავად პროცესია ყველაზე მნიშვნელოვანი. მაგალითად, გამოჩნდა ახალი გამოწვევა, როგორ გავაგრძელოთ ამ გამოწვევას ისე, რომ სხვას აღარ მოუწიოს იმავე პრობლემასთან ჭიდილი. ყოველთვის, როდესაც კი გვარდება ეს გამოწვევები და პრობლემები, იქვე ის ხდება სასურველი რეალობა ჩემთვის, მაგრამ დროთა განმავლობაში ახალი გამოწვევები ჩნდება და სტაბილური სასურველი მდგომარეობაც ქრება. მაგრამ თქვენს კითხვას რომ დაუბრუნდეთ ისევე, ვხუჭავ თვალს და წარმოვიდგენ გარემოს ბარიერების გარეშე (ბარიერებში მოვიზარებ – სტერეოტიპებს, დამოკიდებულებებს, ფიზიკურ გარემოს), რომელიც მორგებულია არა მარტო ჩემი შვილის შესაძლებლობებსა და უნარებს, არამედ ითვალისწინებს ყველას ინტერესებს ისე, რომ არ აზიანებს მეორე ადამიანის ინტერესს.



პროფესიული განათლება

არც ერთი ქვეყანა არ ისახავს მიზნად პროფესიული განათლების მხოლოდ დისტანსიურად მიწოდებას

გვესაუბრება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ძიტიაშვილი



როდის დაიწყება პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია და შესაბამისად - სწავლა?

პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია დაგეგმილზე ერთი თვით გვიან, მაისში დაიწყება, ხოლო აღნიშნულ პროგრამებზე სწავლა - ოქტომბრიდან. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრმა, ახალი პროგრამების მოქნილი ავტორიზაციისთვის, დაწესებულებებისთვის, ავტორიზაციის პროცესის ელექტრონულად წარმართვის მექანიზმი აამოქმედა.

არის თუ არა დაწყებული პროფესიულ სასწავლებლებში დისტანსიური სწავლა? თუ არის, რამდენ კოლეგიაში და თუ არა, როდისთვის იგეგმება და რა მითითებით? ასევე, რა იყო ძირითადი ხელის შეშლელი ფაქტორი, რის გამოც, თავიდანვე ვერ მოხერხდა პროფესიული სასწავლებლების დისტანსიური სწავლების რეალიზაცია?

დავინყობთ იმით, რომ პროფესიულ განათლებაში არ არსებობს აკადემიური წელი და სემესტრები; ყოველ პროგრამას განსაზღვრული აქვს სხვადასხვა ხანგრძლივობა. შესაბამისად, არდადეგების გამოცხადებამ სწავლის მხოლოდ ორი თვით გვიან დასრულება გამოიწვია, რაც სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დაძლევის საფრთხეს არ უქმნის.

პროფესიულ განათლებაში, როგორც მოგეხსენებათ, ორი ტიპის პროგრამები გვაქვს: მოკლევადიანი, მომზადება-გადამზადების პროგრამები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით სრულდება და ტიპური კვალიფიკაციის შესაბამისი გრძელვადიანი პროგრამები, რომლებიც დიპლომით სრულდება.

უკვე დასრულდა მომზადება-გადამზადების პროგრამების ერთი ნაწილის მორგება დისტანსიური სწავლების ფორმატზე და იწყება კიდევ რეგისტრაცია, ასეთებია, ძირითადად,

საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების პროგრამები. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა პროგრამის ცალკეული კომპონენტის დისტანსიურად მიწოდებაზე. ვიმედოვნებთ, ამგვარი კურსების რიცხვი, მომდევნო თვეებში, სწრაფად გაიზრდება.

რაც შეეხება ე.წ. სადიპლომო პროგრამებს, ამგვარ პროგრამებზე პროფესიული სწავლების სრულად და მხოლოდ დისტანსიურად განხორციელება წარმოუდგენელია. ჩვენ მუდმივად ვართ კონტაქტში ჩვენს უცხოელ კოლეგებთან, ასევე რეგულარულად ვეცნობით საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს დისტანსიურ სწავლებასთან დაკავშირებით. არც ერთი ქვეყანა არ ისახავს მიზნად პროფესიული განათლების მხოლოდ დისტანსიურად მიწოდებას, ეს ვერც მოხერხდება, რადგან უმაღლესი და ზოგადი განათლების განსხვავებით, პროფესიულ განათლებაში მისაღწევი სწავლის შედეგები უკავშირდება პრაქტიკულ სწავლებას რეალურ ან სიმულაციურ სამუშაო გარემოში, სახელისნოში.

ამ მიმართულებით, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა კოლეგების ადმინისტრაციასა და მასწავლებლებთან. ჩვენ ჩამოვყალიბებთ დარგობრივი ქსელები, ეს გახლავთ ონლაინ პლატფორმები, სადაც ერთი პროფესიის მასწავლებლები გავეერთიანეთ (მაგ. სოფლის მეურნეობის ქსელი, ტურიზმის ქსელი, სამშენებლო პროფესიათა ქსელი და ა.შ.). ისინი განიხილავენ ცალკეული პროგრამების სწავლის შედეგებს და მათი დისტანსიურად მიწოდების პერსპექტივას, მეთოდოლოგიურ ასპექტებს და საჭირო რესურსებს. მხოლოდ ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ შეგვეძლება, დანამდვილებით ვთქვათ, ამა თუ იმ პროგრამის შემთხვევაში, რომელი კომპონენტების მიწოდება შეგვიძლია დისტანსიურად. ზედაპირული ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება, ძირითადად, ზოგად-სავალდებულო მოდულები, რომლებიც საკვანძო კომპეტენციების გამომწვევებს ისახავს მიზნად (უცხოური ენა, კომუნიკაცია, მენარემოება, მოქალაქეობა და ა.შ.). აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თეორიული და

პრაქტიკული სწავლის შედეგების ერთმანეთისგან მექანიკური გახლეჩა, თანამედროვე პროფესიულ პროგრამებში, შეუძლებელია, რადგან ჩვენი მოდულური პროგრამები სწორედ იმ უპირატესობით გამოირჩევა წინა თაობის პროგრამათაგან, რომ ის კომპლექსური კომპეტენციის მიღწევას ისახავს მიზნად და მასში შერწყმულია თეორია და პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, ჯგუფების სამუშაო საკმაოდ რთულია, მათ კომპლექსურად უნდა გაიაზრონ სწავლის ყველა შედეგი და მიავლინონ მათი იმგვარად მიღწევისა, რომ, საბოლოო ჯამში, პროგრამის განხორციელების ხარისხთან დაკავშირებით კომპრომისის გაკეთება არ მოგვიწიოს.

ამ ანალიზის შემდეგ გამოვლინდება პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც, მათი ბოლოდან, დავინყვებთ გარკვეული მოდულების, კომპონენტების დისტანსიურად მიწოდების პილოტირებას.

ასევე, გასათვალისწინებელია ის გამოწვევაც, რომელიც ინტერნეტსა და შესაბამის მონაცემთა ბაზებზე სტუდენტთა/მასწავლებელთა წვდომას უკავშირდება. კვლევები ცხადყოფს, რომ აღნიშნული გამოწვევა ჩვენი ევროპელი კოლეგების დღის წესრიგშიც მწვავედ დგას და ჩვენც აუცილებლად გავითვალისწინებთ საპილოტე პროგრამების შერჩევისას.

მასწავლებლებს, რომლებიც ჩართული არიან დროებით შიჩრებაში სასწავლო პროგრამების განხორციელებაში, ეძლევათ თუ არა ანაზღაურება?

დიახ. სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებულმა ყველა სასწავლებელმა სამინისტროსგან მიიღო რეკომენდაცია, საგანგებო სიტუაციის გათვალისწინებით, მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებლობა მისცენ მიმდინარე პროგრამებში ჩართულ მასწავლებლებს, ისარგებლონ რიგგარეშე ანაზღაურებადი შევსებით. ასეთი მასწავლებლების რიცხვი, მარტივ-აპრილის თვეებში, საშუალოდ, გახლავთ 700.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

დაიჯისტი

26 აპრილს მსოფლიოში ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღე აღინიშნება.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით, 2020 წლის თემად „ინოვაციები მწვანე მონაცემების“ დასახელდა, რომელსაც მსოფლიოს არაერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტიც შეუერთდა.

ეკოლოგიური მდგომარეობა თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რომელიც ადამიანების ერთობლივი ძალისხმევით და ტექნოლოგიური განვითარების გარეშე, ვერ მოგვარდება.



სწორედ ამიტომ, ინოვაციები მწვანე მონაცემების კამპანიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გამოგონებების საქმიანობის პოპულარიზება და ჯეროვნად აღიარებაა.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ხელს უწყობს თანამედროვე მსოფლიოს ფორმირებასა და ხელშეწყობისა და ტექნოლოგიების განვითარებას. ის ვრცელდება როგორც შემოქმედებით, ისე საგამომგონებლო საქმიანობებზე და დაცულია კანონმდებლობით. ყველაფერი, რასაც ადამიანი საკუთარი გონით ქმნის, წარმოადგენს ინტელექტუალურ საკუთრებას და მისი დაცვა აუცილებელია. შესაბამისად, ამ ტიპის უფლებების მნიშვნელობა საზოგადოებამ კარგად უნდა გაიაზროს.

ინტელექტუალური საკუთრება ინოვაციების განვითარებაში კატალიზატორის როლს ასრულებს, რადგან ის იცავს შემოქმედებითი აზროვნების ნაყოფს და ხელს უწყობს გამოგონებლებს საკუთარი ინოვაციების განვითარებაში.

გამომგონებლებისა და შემოქმედი ადამიანების საქმიანობა განსაზღვრავს მწვანე მონაცემების ბედს, რაც დედამიწას უფრო დაცულ, სუფთა და ენერგოეფექტურ ადგილად აქცევს. მათი ინოვაციები ხელს შეუწყობს დედამიწაზე შეუქცევადი კატალიზატორების თავიდან აცილებას, სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაცვასა და მძიმე მრეწველობაში გამოწვევების შემცირებას, რაც ხშირად მძიმე დაავადებების გამომწვევი მიზეზი ხდება.

ინტელექტუალური საკუთრება ინოვაციურებს აძლევს საშუალებას, დაიცვან მათი შემოქმედების ნაყოფი და განაგრძონ მის გაუმჯობესებაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრირებაზე მუშაობა და სარგებელი მოუტანონ საზოგადოებას.

დღეს ცვლილებებისა და ინოვაციური მიდგომების დროა. მომავალი მწვანე ეკონომიკისა და ეკოლოგიურად უვნებელი ინოვაციებისა, რომლის დაცვის გარანტიაც ინტელექტუალური საკუთრებაა.

მსოფლიოში არსებული პანდემიის გამო არაერთი სპორტული ღონისძიება გადაიდო ან საერთოდ გაუქმდა. თუმცა, მოჭადრაკეებმა ონლაინ სივრცეში გადაინაცვლეს და მონა-



წილობა მიიღეს ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით გამართულ საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც იასპარეზა 92 სპორტსმენმა, მათ შორის 24 საერთაშორისო დიდოსტატი იყო, ხოლო 23 - საერთაშორისო ოსტატი.

შეჯიბრების მხარდამჭერი გახლდათ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ხოლო სპონსორი - კომპანია „სოკარი“, რომელმაც ტურნირის მონაწილე მოჭადრაკეებისთვის 30 000-ლარიანი საპრიზო ფონდი დააწესა.

ვაჟთა შორის, 13 ქულით ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა ნიკა ვოლკოვი, საქართველოს ნაკრების ლიდერმა, ბადურ ჯობაჯამ, 12.5 ქულით, მეორე ადგილი დაიკავა. მესამე-მეოთხე ადგილები, 12-12 ქულით, საქართველოს ჩემპიონატის არაერთგზის გამარჯვებულებმა - გიგა ყუფარაძემ და თორნიკე სანიკიძემ გაიზიარეს.

ქალთა შორის ოქროს მედალი მერი არაბიძემ დაისაკუთრა - 10.5 ქულით და მხოლოდ დამატებითი მარცხნულებით გაუსწრო ნინო ხომერიკს, რომელმაც ასევე 10.5 ქულა დააგროვა. 10 ქულით მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ქალთა ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა, ზელა ხოტენაშვილმა.

საზოგადოებრივი ლიტერატურაზე

„მთვარის მოტაცება“, როგორც წინასწარმეტყველება აფხაზეთის ტრაგედიისა

დიდი მწერლები ხშირად დიდი წინასწარმეტყველნიც არიან. ეს სიტყვები თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ კონსტანტინე გამსახურდიასა და მისი რომანის შესახებ. „მთვარის მოტაცება“, როგორც ვიცით, წლების განმავლობაში, შეცვლილი ვარიანტით იბეჭდებოდა და ვერცხლდებოდა, 1990 წლამდე, ვიდრე ზვიად გამსახურდიას რედაქტორობით არ დაიბეჭდა რომანის თავდაპირველი ვერსია, მკითხველმა მხოლოდ გადმოცემით იცოდა, რომ კაც ზვამბაიას ტარბები კი არა, საკუთარი შვილი არზაყანი კლავს. ეს მკვლელობა, რა თქმა უნდა, არ გახლავთ ოდენ ფიზიკური მამის მოკვლა; კაც ზვამბაიას მხატვრულ სახეში აქ თავისუფლად შეგვიძლია სიმბოლურად წარმოვიდგინოთ, როგორც ტრადიციებისა და წინაპრების მოკვლა, ასევე თვით შემოქმედთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტა. „მთვარის მოტაცება“ მრავალი კუთხითა და ასპექტით მნიშვნელოვანი რომანია, მაგრამ უმთავრესი სწორედ კაც ზვამბაიას სიკვდილია საკუთარი შვილის ხელით განხორციელებული. არზაყანი ნაწარმოებში მიზანდასახულ, ახალგაზრდა კაცად წარმოგვიდგება, მაგრამ საინტერესოა რა მიზნები აქვს „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბებისათვის მებრძოლ ჯერ კომკავშირელ, შემდეგ კომუნისტ არზაყან ზვამბაიას? მხოლოდ ყაჩაღების დევნით, რა თქმა უნდა, იგი არ შემოიფარგლება, არამედ მას „ცისფერი სისხლი“ სწყურია: „ათასწლოვანი ემსახურებოდნენ შარვაშიძეებსა და ემხვარებს ზვამბაია, ეშა და ლაკობა... ახლა ზვამბაიების დროა... სახნავეც ჩვენია და სათესიც, ზღვაცა და ცაც. **ზღვისფერი თვალუბიცი და ცისფერი სისხლი**.“ მოცემულ ციტატაში მწერალი მნიშვნელოვან ისტორიულ რეალობას გვეუბნება. კერძოდ, აფხაზეთის მოსახლეობის არისტოკრატია და სამღვდლოება (ნახუცარი „ბაბუა ტარიელი“ გვარად შარვაშიძეა) ქართველი აფხაზები არიან, აფსუა აფხაზები კი სოციალურად დაბალ წრეს განეკუთვნებიან. კონსტანტინე გამსახურდიას რომანის დასაწყისშივე თავად შემოაქვს ასეთი დახარისხება, ქართველი აფხაზი და აფსუა აფხაზი. „მიდის ჩაბლახით თავგაკრული აფხაზი ვაჟკაცი.“ მომდევნო აბზაცში კი წერს: „მიდის უშიშარი და შეუპოვარი აფსუა.“ ეს „აფხაზი ვაჟკაცი“ და „შეუპოვარი აფსუა“ იდენტიფიცირდება კაც ზვამბაიასთან, სწორედ კაც ზვამბაიაა „მოქუმიდან ზუგდიდის მიმავალი“. მსგავს მინიშნებას მწერალი სხვა შემთხვევებშიც მიმართავს. იგი ეთნიკურად ორი აფხაზის, თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებობას აფხაზეთში უდიდესი ტაქტიკა და სიფრთხილით აგვიჩვენებს მკითხველს – ერთი უშუალოდ აფხაზია, ანუ ისეთივე ქართველი ეთნიკურად, როგორც მეგრელი, სვანი, აჭარელი და ა.შ., ხოლო მეორე შემოსული (მიხილ ჯავახიშვილის ტერმინით – „შემოხიზნული“) აფსუა, რომელმაც მიითვისა ეთნიკის სახელწოდება „აფხაზი“ და მეგრული გვარების დაბოლოება. რაც შეეხება პირველ შემთხვევას, თამარ შარვაშიძისა და ძაბულის პარალელური დახასიათებისას, მწერალი მათ შესახებ ამბობს: „თამარი ხომ აფხაზი ქალია“, „ძაბული მეგრელი ქალია“, ეს აფხაზი და მეგრელი ქალი ისეთივე თანაფარდობითაა ნათქვამი, როგორც კახელი, რაჭველი, გურული ქალების შესახებ გვსმენია ხოლმე. ამაზე უკეთ, ჩემი აზრით, იმის გადმოცემა, რომ თამარ შარვაშიძე ისეთივე ქართველია აფხაზი ქალია, როგორც ძაბული ქართველია აფხაზი ქალი, უბრალოდ შეუძლებელია. რაც შეეხება, არზაყანის „წყურვილს“, პარტიზანულ „რელიგიურ ფანატიზმში შეყვარებული“ არზაყანებისათვის მიზანი საშუალებას ამართლებს. ამიტომ ყველა გზითა და საშუალებით ცდილობს იგი ამ წყურვილის დაკმაყოფილებას. მეცნიერებაც სწყურია არზაყანს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ თარაშმა არ აჯობოს მას რომელიმე სფეროში. გულზე მოხვდება ძაბულის სიტყვები: „თარაშმა გვაჯობა ყველას“, „თარაშის პირველი მეცნიერული გამოკვლევა აფხაზური ენისათვის პროსის სამეცნიერო აკადემიას გამოუცია... აფხაზური ენის მეცნიერულად

მცოდნე მთელ ქვეყანაზე სულ ორიოდე კაცი მოიპოვებო.“ ძაბულისგანვე გაიგებს, რომ თურმე ლექსებსაც წერდა თარაში ქართულად: „აფხაზური ლიტერატურა ჯერ არ არსებობსო... არც ისაა საკვირველი თარაში კარგი მოქართულე რომ იყოს, ემხვარისა და შარვაშიძეების ოჯახში მუდამ ქართული ჯაბნიდაო თურქულსა და რუსულს!“ ამ უბრალო „მეგრული ქალის“ პირით მწერალი დიდი მნიშვნელობის ყურადსაღებ ინფორმაციას გვანდის, ჯერ კიდევ იმ დროისათვის ე.წ. აფხაზური ლიტერატურა და „დამწერლობაც“, რა თქმა უნდა, არ არსებობს, ასევე არ არსებობს ამ ენის „მეცნიერულად მცოდნე“, ანუ აფხაზოლოგი – ერთი, და მეორე – ოჯახებში ქართული ენაა გაბატონებული, რასაც შენარჩუნება ესაჭიროება, მაგრამ ვინ იყო მამის ამის ყურადმღებელი?! (არც დღეს გვაქვს, სამწუხაროდ, და დამად განსხვავებული მდგომარეობა და ის ტრაგედია, რაც აფსუა აფხაზებსა და ქართველ აფხაზებს შორის დატრიალდა. სწორედ ამ უგულისყურობის შედეგია). მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლები, მოგეხსენებათ, ქვეყნიდან, და საერთოდ, საზოგადოებრივი ასპარეზიდან იმ სოციალური ფენის განდევნის ხანა გახლავთ, რომელი ფენაც სწორედ ქართველენი იყო. აფხაზი-ქართველი არისტოკრატისა და სამღვდლოების ისტორიული არენიდან ნასკლამ ასპარეზი დაუთმო აფხაზ-აფსუა გაკომუნისტებულ ზვამბაიებსა და არენებს.

რაც შეეხება გვარების დაბოლოებას, დღეს სადაც აღარ არის, რომ აფსუური გვარების სამოციდათი პროცენტი მეგრულ-სვანური ფუძისაა მეგრული დაბოლოებული. შემთხვევით არ ჩამოთვლის კონსტანტინე გამსახურდიას: „დადანი, შარვაშიძე, ემხვარი ან ლიპარტიანი, ფიფია, ავირბა, ესვანჯია, მალაზონია ან ტარბა“. ლაკერბაია, ალშიბაია, ზვამბაია, გამეგრელები აფსუური გვარებია. რაც შეეხება თარაშ ემხვარის სახელსა და გვარს, ეს ცალკე საუბრის თემაა, ამჯერად მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ ემხვარი იგივე ამილახვარია, რასაც თავად ავტორიც ათქმევინებს თამარ შარვაშიძეს: **„ემხვარები ამილახვრები ყოფილან“**.

რომანში მნიშვნელოვანი ადგილია თარაშის მიერ ჯამლეთ ტარბას მოკვლა და ამ მკვლელობის მიზეზი კომუნისტი არზაყან ზვამბაია. მწერალმა ამით იწინასწარმეტყველა, რომ კომუნისტები გააკეთებდნენ იმას, რაც ვერ შეძლო მეფის რუსეთმა. კერძოდ, ერაზმუტ ემხვარი მეფის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა და საბოლოოდ რუსეთმა შეიწირა იგი. კომუნისტების შემთხვევაში კი, საქმე სხვანაირად, თარაშ ემხვარი თავისდაუნებურად ხდება ჯამლეთ ტარბას მკვლელი, ძიძიშვილის დაცვის საბაბით. მეფის რუსეთმა მართლაც საუკუნოვან ძმებს შორის – აფსუა აფხაზებსა და ქართველ აფხაზებს შორის სისხლის დაღვრა ვერ შეძლო, მაგრამ კომუნისტებმა, ამ შემთხვევაში არზაყან ზვამბაიამ, ეს შეძლეს და თარაშ ემხვარი უკვე საკუთარ ქვეყანაშივე ხდება ლტოლვილი. სიმბოლურია ისიც, რომ სამასი ათასი ქართველი, ემხვარის მსგავსად, სვანეთის მთებს მიაშურებს ძმობისა და სიყვარულის შედეგად. ამას, შესაძლოა, ვერც კი წარმოიდგენდა მწერალი რომანის წერისას, მაგრამ ქვეცნობიერად ალბათ გრძობდა, რომ ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა. მხოლოდ მოძმის მკვლელობის თანაზიარს არ გახდის არზაყან ზვამბაია თარაშ ემხვარს; სვანეთში ხიზნობისას, თარაშისათვის სრულიად მოულოდნელად, ის კლავს **მეზირს**, რაც ფაქტობრივად ქორა მახვმის სიკვდილსა და მისი დიდი ოჯახის („სამოციოდე წევრის“) რღვევის მიზეზი ხდება. თუ დავაკვირდებით კაც ზვამბაიასა და ქორა მახვმის ურთიერთობას, მკითხველისათვის ადვილად წარმოსადგენი გახდება არა მხოლოდ მეგრელებისა და აფსუა აფხაზების ტრადიციებსა და ურთიერთობის ცემაზე დამყარებული ურთიერთობა, არამედ სვანებსა და აფსუა აფხაზებს შორის არსებული არანაკლები ურთიერთობის ცემა და სიყვარული.



სწორედ ეს ურთიერთობა განწყობდა და გათიშა არზაყანმა მამინ, როცა მათურით თავი ნაანყვიტა **მეზირს** და თარაშ ემხვარს მეორეჯერ უნვეს გაქცევა ძიძიშვილის წყალობით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქორა მახვმის შვილიშვილი კომკავშირელია და არზაყანის მსგავსი კომუნისტი სვანეთში ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფება.

არზაყანი თარაშ ემხვარს წილს დაადებინებს მამამთქვს სიკვდილიც იმდენად, რამდენადაც თარაში ვერ ან არ ხვდება იმას, თუ როგორ მიათრია არზაყანმა „ტარბების მიერ მოკლული“ კაც ზვამბაია დევების ქვაბში.

არზაყან ზვამბაია არის სწორედ თამარის გარდაცვალების უპირველესი მიზეზი. თამარის მელანქოლია, დეპრესია და სასიცოცხლო ძალებისაგან დაცლა სწორედ დედისეული ჯვრის დაკარგვით იწყება, შეურაცხყოფილი ლოშინის შედეგად რომ შეაწყდა ყელსაბამი. მოვლენები ისე ვითარდება, რომ თამარის სიკვდილიც თანამონაწილედ გახდა თარაში არზაყანმა და მხოლოდ უკვე გარდაცვლილ სატრფოსთან გაატანს ამ ჯვარს. დროულად ჯვრის დაბრუნებას თამარისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც ჯვარი არის მფარველი ადამიანისა და ამ საფარველი ართმევეს არზაყანი თამარ შარვაშიძეს, ხოლო ამ საფარველის გარეშე დარჩენილი ნახუცარის ქალიშვილი წარმოუდგენელ მკრეხელობას ამბობს მაცხოვრის შესახებ, როდესაც შეცდილი მომაკვდავ ძავანის ქალს მიიყვანეს ხერფისთან: „ქრისტეც ხომ ბუში იყო“. ასე საშინლად გაასწორებს მინასთან აფხაზი აფსუა, არზაყან ზვამბაია, ქართველ აფხაზ დიდებულებს: შარვაშიძეებსა და ვარდანიძე-ემხვარებს.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ტარიელ შარვაშიძის ოჯახი ზუგდიდს სწორედ კომუნისტების გამოა ლტოლვილი.

არზაყანი თავისუფლებიდან, საყვარელი ქალებიდან და მამულიდან დაწყებული, გავისხეწოთ მამას როგორ გაუყოფს კარ-მიდამოს, სიციცხლესაც ნაართმევეს თარაშ ემხვარს. უნებურად ჯაყო წარმოვიდგება ადამიანს თვალწინ – ხიზანი აფსუა, ხიზანი ოსი, მათ შორის განსხვავება მინიმალურია – სისხლისმსმელი კომუნისტი, სისხლის მწოველი მედროვე. საუკუნით ადრე, თითქმის საუკუნის შემდგომი ტრაგედია ამ ორმა დიდმა მწერალმა ასე იწინასწარმეტყველა.

კონსტანტინე გამსახურდიას ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, კერძოდ – რა იცავდა აფხაზეთს და ზოგადად კოლხეთის ველს დამპყრობლებისაგან. „ციება გამიხლდა, ალბიურ ზონამდის მომსდია კოლხეთის ჭაობებიდან გამოყოფილმა აფთარმა“. სწორედ თარაშ ემხვარი კაროლენას. სწორედ ეს აფთარი იყო კოლხეთის ერთ-ერთი საიმედო მცველი, მწერლის აზრით. „შავი ზღვა იყო ჩვენი ქვეყნის დიდი გუშაგი, მისი კულტურის, განათლების დიდი აკვანი.“ შავი ზღვა და კავკასიონი გახლდათ საქართველოს ბუნებრივი დამცველი.

მინდა გავხელო და ორიოდე სიტყვა რომანის სათაურთან დაკავშირებით ვთქვა. საინტერესოა რას ნიშნავს სახელი „თარაშ“ მეგრულად. მეგრულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით – „თარაში“ – თარისა, **ღვთისშვილი, მთავრისა**; ბატონიშვილი; უმთავრესი; ტოლებში დიდი; თარეში (თარაშ თარეშობს) თარბედიერი უზუნესი; მთავარი ღვთაება, ზედის გამ-

რივე თარბოში რჩეული ვაჟკაცი.“ თითქმის ზუსტი დახასიათებაა თარაშ ემხვარისა. თავად კონსტანტინე ამბობდა, რომ მას „სახელის გენის სწამდა“.

ასევე საინტერესოა საიდან მომდინარეობს გვარი – **ემხვარი**. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ემხვარები იგივე **ამილახვრები** არიან, მაგრამ ვნახოთ რას ნიშნავს მეგრულში მსგავსი ფუძის სახელი. **ერემხუტუ** (თარაშის ბიძას ხომ სწორედ **ერამხუტი** ერქვა) ნიშნავს – ირმისა, ირმის მკერდთან გაზრდილი, **ირმის ძუძუნანოვ – ზღაპრულ პერსონაჟს**.

ხემხავი – და ხვარეული ხელხვავიანი და ხვარეული (**ვაზის ეპითეტი**); ასევე საინტერესოა მდინარე **ენ-გური**-ს სახელწოდება საიდან მომდინარეობს.

ენურუა ნიშნავს ალმა ცურვას, (**დინების საწინააღმდეგოდ**).

გური – სინთელი, გულის სიმთელი.

გური – გული (კაცისა); **ცენტრი**; ლებანი (ნაყოფისა); **ყვითრი** (კვერცხისა); (ანუ ის ადგილი, სადაც ემბრიონი ვითარდება), გვარის ბუდე (**თავდაპირველი სამყოფლოდან გამოსული კაცი**).

გური აფხაზა – ნამდვილი, ძირძველი აფხაზი.

ამ განმარტებების მიხედვით გამოდის, რომ თარაშ ემხვარი ღვთის შვილად მოიაზრება, ირმის ძუძუნანოვ ზღაპრულ პერსონაჟად, მისი გვარის ფუძემეგრული ენა ვაზის ეპითეტსაც გულისხმობს, უნებლედ გაგახსენდება ადამიანს რომანიდან ის მონაცემები, როცა თამარი ვაზის ჯიშების შესახებ საუბრისას იტყვის, რომ „ემხვარების მამულიდან მოაპარინაო მამამ კაც ზვამბაიას განსაკუთრებული ჯიში ვაზისა.“ და რაც მთავარია: **იგი – ნამდვილი, ძირძველი აფხაზია**. ემხვარების განძარცვულ, გაცამტვერებულ კარ-მიდამოს გვარის უკანასკნელი შთამომავალი უკანმოუხედავად ტოვებს და თითქოს განგების ნებით შეუპოვრად გადაეშვევა ადგილებულ ენგურში, რომელსაც იცის, რომ ვერ გადალახავს, მაგრამ მაინც ვასცურავს დინების საწინააღმდეგოდ. მთავარეს წყალი მხოლოდ და მხოლოდ დიდი მსოფლიო კატაკლიზმების დროს იტაცებს. სწორედ ამ კატაკლიზმების დაწყებაზე მიგვანიშნებს მწერალი, როცა ფაქტობრივად სამი, განსაკუთრებული ჯიშის მქონე, სულიერი ტოვებს ამქვეყნიურ სამყოფელს – თამარი, თარაში და არაბია, და ასპარეზი ზვამბაიებსა და ალანებს რჩებათ.

ამდენად, ვფიქრობ კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, თუნდაც მისივე რომანის „დიდოსტატის მარჯვენა“ პროგრამიდან ამოღების ხარჯზე; რამეთუ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გაცილებით უფრო უპრიანი იქნება ქართულ-აფხაზურ და აფსუურ-აფხაზურ ურთიერთობებში მომავალი თაობის გარკვევა, ვიდრე „ხელოვანის ბედის“ სწავლება „ტირანულ სახელმწიფოში“.

თამარ კობარიძე
სსიპ ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. კონსტანტინე გამსახურდია – „მთვარის მოტაცება“
2. ინტერნეტ-რესურსები.

ნუ გაექცევით სოციალურ და მორალურ კასუხისმგებლობას!

მანანა კაპიტცივაძე
ბაღდათის №2 საჯარო სკოლის
ინგლისური და რუსული ენების მასწავლებელი,
„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2018“-ის
გამარჯვებული



#დარჩისახლში, ხადგან ეს შენი სოციალური პასუხისმგებლობაა. განსაკუთრებით მინდა მოვეწოდო ბავშვებს, მივმართო იმ მოსწავლეებს, რომლებიც მეგობრებთან ერთად ერთვებიან ხოლმე ონლაინ გაკვეთილებში, ნუ ნახვადით მეგობრებთან, თქვენი სახლიდან ჩაერთეთ.

დახრით სახლში, ხადგან ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, პიხველ ხიგში, იმისთვის, რომ თქვენ იყოთ უანმითელები, ასევე იმისთვის, რომ გახმემომყოფები დავიცვათ ახასახველი შედეგებისგან. ვიცნი, ძალიან ხთელია იძულებით სახლში გამოყეტვა, მაგჩამ უამჩავი საშუალებაა იმისთვის, რომ დომ მხიახუდად და ნაყოფიუხად გაატახით.

იუითხეთ ნიგნები – ვიცნი, რომ მასწავლებლებიც გიხრვენ ნასახითხ ლიტეხატუხას და გამახაგებენ უიდეუ ონლაინ. ამის გახდა, ახებომბს უამჩავი აქტივობები, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ, მაგალითად, ინწავლოთ ენა ან უბჩალოდ, ითამაშოთ.

ითამაშეთ, ხადგან, ხუაღუხად, თამაშითაც ბუვი ხამეს სწავლობთ; უყუხეთ საინტეხესო ფიღმებს.

დახრით სახლში, ხადგან მოქაღაქეობჩივ პასუხისმგებლობასთან ერთად, ეს მოხაღუხი პასუხისმგებლობაცაა!!!

მშობლებმა ძალიან დიდი ხოღი ენდა შეახუღონ ამაში – მაქსიმაღუხი უუხადღება ენდა გაღაიტანონ ბავშვებზე და თავიანთ შვილებთან ერთად გაატახონ დღეები – ეს უხთუღესი პეხიოღი.

მეხნმუნეთ, ბუვი ხამეს გაიგებთ თქვენს შვილებზე, გაიგებთ იმას, ხაც აქამღე ახ იცოღით. უხთად უყუხეთ ფიღმებს, იუითხეთ და ითამაშეთ მათთან უხთად სამაგიღო თამაშები, სხვას თამაშები – ამოუნუხავი ხუსუხსი ახებომბს იმისთვის, რომ საინტეხესოდ გაატახით თვითიზოღაციონს დღეები.

ნუ მისცემთ ბავშვებს მონყენის საშუალებას. სამუნუხახოდ, მშობლების უმეტესობას, აქამღე ამდენი დომ ახ პეონდა შვილებისთვის, ხადგან სამსახუეებჩივ საქმიანობაში იყვნენ „გადავახდნილები“. პოღა, ახღა ეძღევათ შანსი, მეტი დომ დაუთმონ მათ – ყვეღაფუეხში შეიძლება პოზიტივის დანახვას.

#დარჩისახლში, დაციავი საუეთახი თავი და იზუენე სხვებზე – ნუ გაექცევი პასუხისმგებლობას!